

TEEB კვლევასთან დაკავშირებული რეკომენდაციები - საქართველოში
ჩატარებული ეკოსისტემური სერვისების შეფასების მაგალითზე

ნიკა ქირია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

შინაარსი

აბსტრაქტი	3
1. შესავალი	4
1.1. TEEB კვლევის განმარტება და ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა	5
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) სატყეო სექტორისთვის ჩატარებული ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის (TEEB) კვლევის მიმოხილვა.....	18
3. გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის ზოგადი განხილვა და პრაქტიკა.....	24
4. მეთოდოლოგია	25
5. კვლევის შედეგები	27
5.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) სატყეო სექტორისთვის ჩატარებული ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის (TEEB) კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი პრობლემების ანალიზი	27
5.2 კვლევის შედეგების შეჯამება	31
6. დასკვნა და რეკომენდაციები	32
7. გამოყენებული ლიტერატურა.....	39

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია განისაზღვროს გარემოსდაცვითი მონაცემთა მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. განხილულ იქნას რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მონაცემთა არარსებობას და მათი მართვის არაეფექტურ სისტემას გარემოს დაცვის სფეროში მიმდინარე კვლევით პროცესებზე. ნაშრომში განვიხილეთ საქართველოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სექტორისთვის ჩატარებული ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის (TEEB) კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ხარვეზები, რის საფუძველზეც გამოვლინდა სისტემური ნაკლოვანებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა არ არის პირველი და ერთადერთი TEEB კვლევა, რომელიც საქართველოში ჩატარდა, სწორედ იგი შეირჩა განსახილველად, მისი მასშტაბურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე.

აღნიშნული კვლევითი აქტივობების შედეგად, გამოვლინდა, რომ ინფორმაციის ნაკლებობა, ასევე არსებული ინფორმაციის ხარისხი და ხელმისაწვდომობა ართულებს კვლევის ჩატარებას და ხელს უშლის ეკოსისტემური სერვისების შეფასებას. ამის გამო, არ ხდება შესაძლებელი პირველ ეტაპზე მოხდეს ღირებულების შეცნობა და იმ სიკეთეების ხარისხობრივი აღიარება, რასაც გვამღევს ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება შედეგად არ ხდება ღირებულების სრული დემონსტრირება, რაც ეკოსისტემების კონსერვაციის წახალისებისთვის რეალურ საფუძველს არ ქმნის. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, მონაცემთა მართვის ინტეგრირებული სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფრო ეფექტურ მართვას. გარდა ამისა, აღნიშნული სისტემა გაზრდის დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხს, რაც გულისხმობს, ინფორმაციის მოკლე დროში და მარტივად მიღების შესაძლებლობას.